EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

დიდი პალატა
მაკარატზისი საბერძნეთის წინააღმდეგ
Makaratzis v Greece
საჩივარი №50385/99
2004 წელი, 20 დეკემბერი

ფაქტები

მომჩივანს, რომელმაც მანქანით წითელ შუქმნიშანზე გაიარა ათენის ცენტრში, რამდენიმე პოლიციის მანქანა და მოტოციკლი დაედევნა. ის არ გაჩერებულა და დევნის დროს მისი მანქანა კიდევ რამდენიმე მანქანას შეეჯახა, რის შედეგადაც ორი მძღოლი დაშავდა. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას შემდეგ, რაც მან გაარღვია პოლიციის ხუთი საგზაო ბლოკი, პოლიციის თანამშრომლებმა დაიწყეს სროლა მისი მანქანის მიმართულებით. საბოლოოდ, ის ბენზინგასამართ სადგურთან გაჩერდა, მაგრამ არ გადმოსულა. პოლიციის თანამშრომლებმა სროლა განაგრძეს. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ პოლიციელებმა დაიჩოქეს და ესროლეს მას, ხოლო მთავრობა ამტკიცებდა, რომ ისინი ჰაერში ისროდნენ. მომჩივანი საბოლოოდ, დააკავა

პოლიციელმა, რომელმაც მოახერხა მანქანაში შეჭრა. ის სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ცხა დღე იმყოფებოდა. მას დაუზიანდა მარჯვენა ხელი, მარჯვენა ფეხი, მარცხენა დუნდული და გულმკერდის მარჯვენა მხარე. ერთი ტყვია ფეხიდან ამოუღეს, მეორე კი ისევ დუნდულში დარჩა. მომჩივნის ფსიქიკური ჯანმრთელობა, რომელიც წარსულში გაფუჭდა, ინციდენტის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუარესდა. ინციდენტის შემდეგ, პოლიციის მიერ ჩატარებულმა ადმინისტრაციულმა გამოძიებამ ამოიცნო ოცდაცხრამეტი პოლიციელი, რომლებიც მონაწილეობდნენ დევნაში, მაგრამ სხვა პოლიციელები, რომლებმაც შემთხვევის ადგილი დატოვეს საკუთარი იდენტიფიცირების გარეშე, დარჩნენ ამოუცნობები. ასევე, ჩატარდა მომჩივნის მანქანაზე და ცეცხლსასროლ იარაღზე ლაბორატორიული ტესტები. პროკურორმა შვიდი პოლიციელის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა სხეულის მძიმე დაზიანებისა და იარაღის უნებართვო გამოყენების ბრალდებით. ისინი გაამართლეს, რადგან გონივრულ ეჭვს მიღმა არ დადგენილა, რომ ისინი იყვნენ ის ოფიცრები, რომლებმაც დაჭრეს მომჩივანი, იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი სხვა გასროლა მოხდა დაუდგენელი იარაღიდან. უფრო მეტიც, პირველი ინსტანციის სისხლის სამართლომ დაადგინა, რომ პოლიციელებმა იარაღი გამოიყენეს იმისთვის, რომ მოეხდინათ მანქანის იმობილიზაცია, რომლის მძღოლსაც ისინი საშიშ დამნაშავედ თვლიდნენ. მომჩივანს არ ჰქონია გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

სამართალი

I. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

33. მომჩივანი დავობდა, რომ პოლიციის ოფიცრებმა, რომლებიც მას დევნიდნენ, გამოიყენეს გადამეტებული ცეცხლსასროლი ძალა მის წინააღმდეგ, რის გამოც მისი სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდა და რომ ხელისუფლებამ ვერ ჩაატარა ინციდენტის ადეკვატური და ეფექტური გამოძიება. ის ამტკიცებდა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას, რომლის თანახმადაც:

სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ ხელყოფა, თუ არა სიკვდილის სასჯელის აღსრულების შედეგად, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ განიხილება ამ მუხლის დარღვევად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

ა. ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;

ბ. კანონიერი დაკავებისათვის, ანდა კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

გ. კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისათვის აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.“

სასამართლოს შეფასება

1. ფაქტების დადგენა

46. სასამართლომ უნდა დაადგინოს, გამოავლენს თუ არა მოცემული საქმის ფაქტები მოპასუხე სახელმწიფოს მარცხს მომჩივნის სიცოცხლის უფლების დაცვასთან და კონვენციის მე-2 მუხლით დაკისრებული პროცედურული ვალდებულების ადეკვატური და ეფექტური გამოძიების ჩატარებასთან მიმართებით.

47. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ მოვლენების შესახებ განსხვავებული ცნობები უპირისპირდება ერთმანეთს, კერძოდ, მომჩივნის დევნისა და დაკავების დროს პოლიციის ქცევასთან დაკავშირებით.

48. ამიტომ მაშინაც კი, თუ გარკვეული ფაქტები გაურკვეველი რჩება, სასამართლო თვლის, რომ მის წინაშე წარმოდგენილი ყველა მასალის ფონზე არსებობს საკმარისი ფაქტობრივი და მტკიცებულებითი საფუძველი, რომლითაც საქმის შეფასება შეიძლება, რასაც ეროვნული სასამართლოები იყენებენ საკუთარი დასკვნების ამოსავალ წერტილად.

2. კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენება

49. წინამდებარე საქმეში, მომჩივნების წინააღმდეგ გამოყენებული ძალა არ იყო სასიკვდილო. პრინციპში, ეს არ გამორიცხავს მომჩივნის საჩივრების განხილვას მე-2 მუხლის საფუძველზე, რომლის მთლიანი ტექსტი ცხადყოფს, რომ იგი მოიცავს არა მხოლოდ განზრახ მკვლელობას, არამედ ისეთ სიტუაციებსაც, როდესაც ნებადართულია ძალის გამოყენება, რამაც გაუთვალისწინებლად შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის ხელყოფა (იხ.: İlhan v. Turkey [GC], no. 22277/93, § 75, ECHR 2000-VII). ფაქტობრივად, სასამართლომ უკვე განიხილა საჩივრები ამ დებულების შესაბამისად, სადაც სავარაუდო მსხვერპლი სადავო ქცევის შედეგად არ გარდაიცვალა.

50. ამასთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, შეიძლება აღინიშნოს, რომ სასამართლომ უკვე აღიარა, რომ შეიძლება არსებობდეს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის პირველი წინადადებით, რომ დაიცვას პირის სიცოცხლე მესამე პირებისგან ან სიცოცხლისთვის საშიში დაავადების რისკისგან (იხ:. Osman v. the United Kingdom, judgment of 28 October 1998, Reports of Judgments and Decisions 1998-VIII, pp. 3159-63, §§ 115-22; Yaşa v. Turkey, judgment of 2 September 1998, Reports 1998-VI, pp. 2436-41, §§ 92-108; and L.C.B. v. the United Kingdom, judgment of 9 June 1998, Reports 1998-III, pp. 1403-04, §§ 36-41).

51. მეორე მხრივ, პრეცედენტული სასამართლო ადგენს, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, სახელმწიფო აგენტების მიერ ფიზიკურმა არასათანადო მოპყრობამ, რომელიც იწვევს სიკვდილს, შეიძლება გამოავლინოს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. სწორია, რომ კონვენციის საფუძველზე წარმოებულ სამართალწარმოებაში, სადავო ძალის გამოყენებაში მონაწილე პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არის სადავო. მიუხედავად ამისა, გამოყენებული ძალის ხარისხი და ტიპი და ძალის გამოყენების განზრახვა ან მიზანი სხვა ფაქტორებთან ერთად, შეიძლება იყოს რელევანტური, რათა შეფასდეს ექცეოდა თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო აგენტების ქმედებები, რომელმაც მათ პოტენციურად, სასიკვდილო ზიანი მიაყენა, მე-2 მუხლის ფარგლებში, ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნის გათვალისწინებით. თითქმის ყველა შემთხვევაში, როდესაც ადამიანზე თავდასხმა ან არასათანადო მოპყრობა ხდება პოლიციის ან

ჯარისკაცების მიერ, მათი საჩივრები უფრო მეტად განიხილება კონვენციის მე-3 მუხლით (იხ.: *İlhan*, ციტირებული ზემოთ, § 76).

52. მაშასადამე, წინამდებარე საქმეში სასამართლომ უნდა დაადგინოს, სადაც სახელმწიფო აგენტები მონაწილეობდნენ მომჩივნის დაჭრაში, არის თუ არა მის მიმართ გამოყენებული ძალა პოტენციურად სასიკვდილო და რა სახის გავლენა მოახდინა შესაბამისი თანამდებობის პირების ქცევამ, არა მხოლოდ მის ფიზიკურ მთლიანობაზე, არამედ ასევე სიცოცხლის უფლების დაცვის ინტერესებზე.

53. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მომჩივნებს დევნიდა პოლიციელთა დიდი რაოდენობა, რომლებმაც არაერთხელ გამოიყენეს რევოლვერი, პოსტოლები და ავტომატური იარაღი.
სასამართლოს წინაშე წარდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ პოლიციამ გამოიყენა იარაღი მომჩივნის მანქანის გასაჩერებლად და მისი დაკავების მიზნით, ეს არის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც სასიკვდილო ან პოტენციურად სასიკვდილო ძალის გამოყენება შეიძლება იყოს ლეგიტიმური. რაც შეეხება მე-3 მუხლით აკრძალულ არასათანადო მოპყრობას, პოლიციის თანამშრომლების საქციელიდან არავითარ შემთხვევაში არ გამოიკვეთებოდა მისთვის ტკივილის, ტანჯვის ან დამცირების განზრახვა (იხ.: Ilaşcu and Others v. Moldova and Russia [GC], no. 48787/99, §§ 425-28, ECHR 2004-VII). კერძოდ, მის წინაშე არსებულ მასალაზე დაყრდნობით სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ მომჩივნის ბრალდება, მისი მანქანიდან გადმოყვანის შემდეგ ფეხში სროლასთან დაკავშირებით, დასაბუთებულია.

54. სასამართლო ასევე, ეთანხმება მთავრობის განცხადებას, რომ პოლიცია არ აპირებდა მომჩივნის მოკვლას. თუმცა, ის აღნიშნავს, რომ ის ფაქტი, რომ ეს უკანასკნელი არ გარდაცვლილა, იყო შემთხვევითი. ბალისტიკური ანგარიშის დასკვნების მიხედვით, მანქანაში იყო თექვსმეტი ნატყვიარი, რომლებიც მოჰყვა ჰორიზონტალური ან აღმავალი მიმართულებით, მანქანის მძღოლისკენ სროლას. მანქანის წინა საქარე მინაზე იყო უკანა სარკმლიდან მოხვედრილი ტყვიებით გამოწვეული სამი ხვრელი და კვალი; საქარე მინა გატყდა და ჩავარდა. საბოლოოდ,

მომჩივანმა დაიზიანა მარჯვენა მკლავი, მარჯვენა ფეხი, მარცხენა დუნდული და გულმკერდის მარჯვენა მხარე და იმყოფებოდა საავადმყოფოში ცხრა დღის განმავლობაში. მისი დაზიანებების სიმძიმე მხარეებს შორის სადავო არ არის.

55. ზემოაღნიშნული გარემოებების, და განსაკუთრებით გამოყენებული ძალის ხარისხისა და ტიპის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ განურჩევლად იმისა, განზრახული ჰქონდა თუ არა პოლიციას მისი მოკვლა, მომჩივანი იყო იმ ქმედების მსხვერპლი, რომელმაც თავისი ბუნებით, მის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა, თუმცა, იმ შემთხვევაში გადარჩა. ამრიგად, მე-2 მუხლი გამოიყენებადია მოცემულ საქმეში. გარდა ამისა, კონტექსტიდან გამომდინარე, სადაც მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და დაინტერესებული სახელმწიფო აგენტების სადავო ქცევის ბუნების გათვალისწინებით, სასამართლო დარწმუნებულია, რომ ფაქტები მოითხოვს კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში განხილვას.

3. ხელისუფლების სავარაუდო წარუმატებლობა მომჩივნის სიცოცხლის უფლების კანონით დაცვის პოზიტიური ვალდებულების შესრულებაზე

56. მე-2 მუხლი, რომელიც იცავს სიცოცხლის უფლებას და ასახავს იმ გარემოებებს, როდესაც სიცოცხლის ჩამორთმევა შეიძლება გამართლებული იყოს, ითვლება კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ დებულებად, რომლის შელახვაც არ არის ნებადართული (იხ.: Velikova v. Bulgaria, no. 41488/98, § 68, ECHR 2000-VI). მე-3 მუხლთან ერთად, ის ასევე, ასახავს ევროპის საბჭოს შემადგენელი დემოკრატიული საზოგადოებების ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას. მაშასადამე, ის გარემოებები, სადაც სიცოცხლის აღკვეთა შეიძლება გამრთლებული იყოს, მკაცრად უნდა იქნას გაგებული (იხ.: Salman v. Turkey [GC], no. 21986/93, § 97, ECHR 2000-VII). კონვენციის, როგორც ცალკეული ადამიანების დაცვის ინსტრუმენტის მიზანი და დანიშნულება ასევე, მოითხოვს მე-2 მუხლის ინტერპრეტაციას და მის ისე გამოყენებას, რომ მისი გარანტიები პრაქტიკული და ეფექტური გახდეს (იხ.: McCann and Others v. the United Kingdom, judgment of 27 September 1995, Series A no. 324, pp. 45-46, §§ 146-47).

57. მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის პირველი წინადადება ავალდებულებს სახელმწიფოს არა მხოლოდ თავი შეიკავოს სიცოცხლის განზრახ და უკანონო მოსპობისგან, არამედ მიიღოს შესაბამისი ზომები შიდა სახელმწიფოებრივი წესრიგის ფარგლებში, მის

იურისდიქციაში მყოფთა სიცოცხლის დასაცავად (იხ.: Kılıç v. Turkey, no. 22492/93, § 62, ECHR 2000-III). ეს გულისხმობს სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობას, უზრუნველყოს სიცოცხლის უფლება შესაბამისი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩოს შექმნით, რათა აღკვეთოს პირის წინააღმდეგ დანაშაულთა ჩადენა, რაც უზრუნველყოფილი იქნება სამართლებრივი მექანიზმებით, ასეთი დებულებების დარღვევის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის მიზნით.

58. როგორც თავად მე-2 მუხლის ტექსტიდან ჩანს, პოლიციის თანამშრომლების მიერ ლეტალური ძალის გამოყენება შეიძლება გამართლებული იყოს გარკვეულ გარემოებებში. მიუხედავად ამისა, მე-2 მუხლი არ იძლევა მოქმედების სრულ თავისუფლებას. სახელმწიფო აგენტების მიერ დაურეგულირებელი და თვითნებური ქმედება შეუთავსებელია ადამიანის უფლებების ეფექტურ პატივისცემასთან. ეს ნიშნავს, რომ პოლიციის ოპერაციები, ისევე როგორც ეროვნული კანონმდებლობით დასაშვები, საკმარისად უნდა იყოს რეგულირებული მის მიერ, თვითნებობისა და ძალის გადამეტებისგან ადეკვატური და ეფექტური გარანტიების სისტემის ფარგლებში (იხ.: mutatis mutandis, Hilda Hafsteinsdóttir v. Iceland, no. 40905/98, §56, 8 June 2004; იხ.: ასევე, Human Rights Committee, General Comment no. 6, Article 6, 16th Session (1982), §3) და თუნდაც, იმ შემთხვევების წინააღმდეგ, რომელთა თავიდან აცილებაც შეიძლება.

59. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დემოკრატიულ საზოგადოებაში მე-2 მუხლის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასამართლომ ამ დებულების დარღვევების ბრალდებები უნდა განიხილოს უდიდესი სიფრთხილით, მხედველობაში მიიღოს არა მხოლოდ სახელმწიფოს აგენტების ქმედებები, რომლებიც რეალურად მართავდნენ ძალას, არამედ ასევე, ყველა გარემომცველი გარემოება მათ შორის, ისეთი საკითხები როგორიცაა, განსახილველი მოქმედებების დაგეგმვა და კონტროლი (იხ.: McCann and Others, cited above, p. 46, §150). ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, პოლიციის ოფიცრები არ უნდა დარჩნენ ვაკუუმში თავიანთი მოვალეობის შესრულებისას, იქნება ეს მომზადებული ოპერაციის კონტექსტი თუ სახიფათოდ მიჩნეული პირის სპონტანური დევნის კონტექსტში: საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ჩარჩოში უნდა განისაზღვროს შეზღუდული გარემოებები,

რომლებშიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შეუძლიათ გამოიყენონ ძალა და ცელცხლსასროლი იარაღი, ამ კუთხით შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით (იხ.: მაგ. „გაეროს, ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები“).

60. ამ ფონზე, სასამართლომ წინამდებარე საქმეში უნდა გამოიკვლიოს არა მხოლოდ მომჩივნის წინააღმედგ პოტენციურად ლეტალური ძალის გამოყენება იყო თუ არა ლეგიტიმური არამედ ასევე, იყო თუ არა ოპერაცია რეგულირებული და ორგანიზებული ისე, რომ მაქსიმალურად შემცირდეს მისი სიცოცხლის ნებისმიერი რისკი.

61. ითვალისწინებს რა, უახლესი კანონის – №3169/2003 ამოქმედებას, სასამართლო აღნიშნავს რომ წინამდებარე საჩივრის ფაქტებიდან გამომდინარე, საბერძნეთის სახელმწიფომ შეიმუშავა სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც არეგულირებს პოლიციელების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას და უზრუნველყოფს პოლიციის ტრენინგს, ადამიანის უფლებათა და პოლიციის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

62. თუმცა, განსახილველი მოვლენების დროს მოქმედი კანონმდებლობა იყო კანონი №29/1943, რომელიც მოქმედებდა მეორე მსოფლიო ომიდან, როდესაც საბერძნეთი გერმანიის შეიარაღებული ძალების მიერ იყო ოკუპირებული. აღნიშნულ კანონში ჩამოთვლილი იყო სიტუაციების ფართო სპექტრი, როდესაც პოლიციელს შეეძლო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შედეგებზე პასუხისმგებელობის გარეშე. 1991 წელს, პრეზიდენტის ბრძანებულებით ნებადართული იყო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება 1943 წლის კანონით დადგენილ გარემოებებში, „მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში და როცა ყველა ნაკლებად ექსტრემალური მეთოდი ამოწურულია.“ სხვა დებულებები, რომლებიც არეგულირებს იარაღის გამოყენებას პოლიციის მოქმედებების დროს და ადგენს მითითებებს პოლიციის ოპერაციების დაგეგმვისა და კონტროლის შესახებ, საბერძნეთის კანონმდებლობაში. ერთი შეხედვით, ზემოაღნიშნული გარკვეულწილად სუსტი საკანონმდებლო ბაზა, არ ჩანს

საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების „კანონით“ დაცვის დონე, რომელიც საჭიროა ევროპის დღევანდელ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

63. ეს დასკვნა საბერძნეთის კანონმდებლობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, დასტურდება სასამართლოს წინაშე არსებული მტკიცებულებებით, რომლებიც იმდროინდელ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბაზას ატარებდა იმ გზაზე, რომლითაც განხორციელდა პოტენციურად ლეტალური პოლიციის ოპერაცია, რომელიც დასრულდა მომჩივნის დაკავებით.

64. წინამდებარე საქმის ფაქტებზე დაყრდნობით და ეროვნული სასამართლოს დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლო აღიარებს, რომ მომჩივანი მართავდა თავის მანქანას ათენის ცენტრში, გადაჭარბებული სიჩქარით, უკონტროლოდ და სახიფათოდ, რითაც საფრთხეში აყენებდა გამვლელთა და პოლიციის ოფიცრების სიცოცხლეს; ამგვარად, პოლიციას უფლება ჰქონდა რეაგირება მოეხდინა იმის საფუძველზე, რომ მომჩივანი მართავდა სიცოცხლისთვის საშიშ ობიექტს, საზოგადოებრივ ადგილას. მის შესაჩერებლად გამოყენებული იყო ალტერნატიული საშუალებები, თუმცა, უშედეგოდ; ამას თან ახლდა არეულობის თანდათანობით გაფართოება, რომელსაც მომჩივანი იწვევდა და სასიკვდილო საფრთხე, რომელსაც იგი უქმნიდა უდანაშაულო ადამიანებს თავისი დანაშაულებრივი ქცევით. გარდა ამისა, პოლიციის ოფიცრებს, რომლებიც დევნიდნენ მომჩივანს, საკონტროლო ცენტრმა აცნობა, რომ ის შესაძლოა შეიარაღებული და საშიში ყოფილიყო; ასევე, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ის ქმედებები, რომლებიც დაინახეს მომჩივნის მიერ მანქანის გაჩერებისას, მიუთითებდნენ მის შეიარაღებაზე.

65. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, კერძოდ, საბერძნეთში იმდროინდელი კლიმატი, რომელიც გამოირჩეოდა უცხოური ინტერესების წინააღმდეგ ტერორისტული მოქმედებებით. მაგალითად, ჯგუფმა სახელწოდებით – „რევოლუციური ორგანიზაცია 17 ნოემბერი,“ რომელიც დაარსდა 1975 წელს და დაშლამდე (2022 წლამდე) ჩაიდინა მრავალი დანაშაული, მათ შორის, შეერთებული შტატების ხელისუფლების წარმომადგენლების მკვლელობები. ზემოაღნიშნულს ამძაფრებს ის ფაქტი, რომ ღონისძიება მოხდა ღამით, ამერიკის

საელჩოს მახლობლად და ხელი შეუწყო პოლიციის მიერ მომჩივნის უფრო დიდ საფრთხედ აღქმას.

66. შესაბამისად, ეროვნული სასამართლოს მსგავსად, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ პოლიციას შეეძლო გონივრულად ჩაეთვალა, რომ საჭირო იყო იარაღის გამოყენება მანქანის გასაჩერებლად და მისი მძღოლის საფრთხის გასანეიტრალებლად და არამხოლოდ მანქანის მძღოლის დაკავების აუცილებლობა, რომელმაც წითელ შუქნიშანზე გაიარა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში გაირკვა, რომ მომჩივანი იყო უიარაღო და ის არ იყო ტერორისტი, სასამართლო აღიარებს, რომ მის წინააღმდეგ ძალის გამოყენება ეფუძნებოდა კეთილსინდისიერ რწმენას, რომელიც იმ დროს აღიქმეოდა მართებულად. სხვაგვარად, დაკავება იქნებოდა არარეალური ტვირთის დაკისრება სახელმწიფოსა და მის სამართალდამცავ პერსონალზე თავიანთი მოვალეობის შესრულებისას, შესაძლოა მათი და სხვების სიცოცხლის საზიანოდ (იხ.: McCann and Others, ციტირებული ზემოთ, §§ 58-59, § 200).

67. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საქმეში პოტენციურად ლეტალური ძალის გამოყენება, შეიძლება ითქვას, რომ შეესაბამებოდა კონვენციის მე-2 მუხლს, სასამართლო გაოცებულია იმ ქაოტური ხერხით, რომლითაც პოლიციამ რეალურად გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი. ასევე, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციელთა დაუზუსტებელმა რაოდენობამ დაცხრილა მომჩივნის მანქანა რევოლვერების, პისტოლეტების და ავტომატების გამოყენებით. მანქანაზე დაფიქსირდა არანაკლებ, თექვსმეტი გასროლის ნაკვალევი, ზოგიერთი მათგანი ადასტურებს ჰორიზონტალურ ან თუნდაც, აღმავალ ტრაექტორიას და არა დაღმავალს, როგორც მოსალოდნელია თუ მხოლოდ და მხოლოდ მანქანის საბურავებს ესროდა მდევარი პოლიცია. სამმა ხვრელმა დააზიანა მანქანის საქარე მინა, უკანა შუშის მინა კი ჩაიმტვრა და ჩავარდა. საბოლოოდ, სასამართლოს წინაშე წარდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ პოლიციელთა დიდი რაოდენობა მონაწილეობდა უკონტროლო დევნაში.

68. ამიტომ ჩნდება სერიოზული კითხვები ოპერაციის ჩატარებასთან და ორგანიზებასთან დაკავშირებით. მართალია, სამეთვალყურეო ცენტრმა გარკვეული

მითითებები მისცა ზოგიერთ პოლიციელს, რომლებსაც პირდაპირ დაუკავშირდნენ, მაგრამ სხვები საკუთარი სურვილით დაეხმარნენ კოლეგებს, ყოველგვარი მითითების მიღების გარეშე. მკაფიო სამეთაურო ჯაჭვის არარსებობამ გამოიწვია ის, რომ გაიზარდა ზოგიერთი პოლიციელის მიერ უმისამართო სროლის რისკი.

69. რა თქმა უნდა, სასამართლო მხედველობიდან არ უშვებს იმ ფაქტს, რომ მომჩივანი დაშავდა არაორგანიზებული ოპერაციის დროს, რამაც გამოიწვია ისეთი განვითარება, რომელზეც პოლიციას მოუწოდეს რეაგირება წინასწარი მომზადების გარეშე (შედარებისთვის, *Rehbock v. Slovenia*, no. 29462/95, §§ 71-72, ECHR 2000-XII). თანამედროვე საზოგადოებაში წესრიგის კონტროლის მართვის სირთულეების გათვალისწინებით, რომელიც უნდა გაკეთდეს პრიორიტეტებისა და რესურსების თვალსაზრისით, პოზიტიური ვალდებულება უნდა იქნას განმარტებული ისე, რომ ხელისუფლებას არ დააკისროს შეუძლებელი ტვირთი (იხ.: *mutatis mutandis*, *Mahmut Kaya v. Turkey*, no. 22535/93, § 86, ECHR 2000-III).

70. მიუხედავად ამისა, სასამართლო აზრით, ინციდენტში მონაწილე პოლიციელებს არ ჰქონდათ საკმარისი დრო სიტუაციის ყველა პარამეტრის შესაფასებლად და მათი ოპერაციის გულდასმით ორგანიზებისთვის, ამიტომ, სასამართლო მიიჩნევს, რომ სიტუაციის გადაგვარება, რომელიც თავად ზოგმა პოლიციელმა მოწმემ ქაოტურად აღწერა, დიდწილად, განპირობებული იყო იმით, რომ იმ დროს, არც ცალკეული პოლიციელები და არც როგორც კოლექტიური ოპერაცია, არ სარგებლობდა შესაბამისი სტრუქტურით, რაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ეროვნული კანონმდებლობითა და პრაქტიკით. ფაქტობრივად, სასამართლო აღნიშნავს, რომ 1995 წელს, ამ ინციდენტის დროს კანონი, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია როგორც მოძველებული და არასრული თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, ჯერ კიდევ არეგულირებდა სახელმწიფო აგენტების მიერ იარაღის გამოყენებას. არასრული სისტემა არ აძლევდა სამართალდამცავებს, მშვიდობიან პერიოდში ძალის გამოყენებისათვის მკაფიო მითითებებსა და კრიტერიუმებს. ამრიგად, გარდაუვალი იყო, რომ პოლიციის ოფიცრები, რომლებიც დაედევნენ და საბოლოოდ დააპატიმრეს მომჩივანი, უნდა სარგებლობდნენ მოქმედებისას უფრო დიდი ავტონომიით და ჰქონოდათ უფრო მეტი შესაძლებლობა გაუთვალისწინებელი ინიციატივების

განსახორციელებლად, რაც ალბათ ექნებოდათ სათანადო ტრენინგისა და ინსტრუქციების არსებობისას. მკაფიო მითითებების არარსებობით შეიძლება კიდევ მეტად აიხსნას, თუ რატომ მიიღო რამდენიმე პოლიციელმა ოპერაციაში მონაწილეობა სპონტანურად, ზემდგომი პირებისთვის მოხსენების გარეშე.

71. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ რაც შეეხება პოზიტიურ ვალდებულებას მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის პირველი წინადადებით, რომ შეექმნათ ადეკვატური საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბაზა საბერძნეთის ხელისუფლებას, იმ დროისთვის არ გაუკეთებია ყველაფერი, რაც მათგან მოსალოდნელი იყო მოქალაქეებისთვის და კერძოდ, მომჩივნისთვის, რომლის წინააღმდეგაც გამოყენებული იქნა პოტენციურად ლეტალური ძალა, სადაც საჭირო იყო აუცილებელი გარანტიები და სიცოცხლისთვის რეალური და დაუყონებლივი რისკის თავიდან აცილება, რომელიც იცოდნენ რომ შესაძლებელი იყო წარმოქმნილიყო, თუმცა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, პოლიციის მიერ ცხელ კვალზე დევნის დროს (იხ.: *mutatis mutandis*, *Osman*, ციტირებული ზემოთ, გვ. 3160, §116).

72. შესაბამისად, მომჩივანი წარმოადგენდა ამ საფუძვლით კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის მსხვერპლს. ამ დასკვნის გათვალისწინებით, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პოლიციის მიერ სიცოცხლისთვის საშიში ქმედების შესწავლა საჭირო არ იყო.

4. გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობა

73. კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება, სახელმწიფოს 1-ელი მუხლით გათვალისწინებულ ზოგად მოვალეობასთან ერთად, რომ „ყველასათვის უზრუნველყოს თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ამ კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები," იგულისხმება, რომ უნდა არსებობდეს რაიმე სახის ეფექტური ოფიციალური გამოძიება, როდესაც პირები მოკლეს ძალის გამოყენების შედეგად (იხ.: *Çakıcı v. Turkey* [GC], no. 23657/94, § 86, ECHR 1999-IV). ასეთი გამოძიების არსებითი მიზანია უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების დაცვის ეროვნული

კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელება და, ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ეხება სახელმწიფო აგენტებს ან ორგანოებს, უზრუნველყოს მათი პასუხისმგებლობა მათი ქმედების შედეგად დამდგარ სიკვდილზე (იხ.: *Anguelova v. Bulgaria*, no. 38361/97, § 137, ECHR 2002-IV). ვინაიდან, ხშირად პრაქტიკაში ასეთი შემთხვევების დროს, სიკვდილის ჭეშმარიტი გარემოებები დიდწილად შემოიფარგლება სახელმწიფო მოხელეების ან ორგანოების ცოდნით, შესაბამისი შიდა სამართალწარმოება, როგორიცაა სისხლისსამართლებრივი დევნა, დისციპლინური სამართალწარმოება და მსხვერპლთა და მათი ოჯახებისთვის ხელმისაწვდომი დაცვის საშუალებების გამოყენება განპირობებული იქნება ადეკვატური სამსახურებრივი გამოძიებით, რომელიც უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებული. იგივე მსჯელობა ვრცელდება მოცემულ საქმეზე, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა მომჩივნის მიმართ, საფრთხეს უქმნდა მის სიცოცხლეს.

74. გამოძიებას უნდა შეეძლოს, პირველ ყოვლისა, გამოარკვიოს ის გარემოებები, სადაც მოხდა ინციდენტი და მეორე, მოახდინოს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და დასჯა. ეს არის არა შედეგის, არამედ საშუალებების ვალდებულება. ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა მათთვის ხელმისაწვდომი გონივრული ნაბიჯები ინციდენტთან დაკავშირებული ჩვენებებისა და სასამართლო ექსპერტიზის ჩათვლით. ამ კონტექსტში იგულისხმება ოპერატიულობისა და გონივრული ექსპედიციის მოთხოვნა. გამოძიების დროს ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ძირს უთხრის მის შესაძლებლობებს საქმის გარემოებების ან პასუხისმგებელი პირის დადგენისას, შეიძლება დაექვემდებაროს ეფექტურობის საჭირო სტანდარტს (იხ.: *Kelly and Others v. the United Kingdom*, no. 30054/96, §§ 96-97, 4 May 2001 და *Anguelova*, ციტირებული ზემოთ, § 139).

75. მოცემულ საქმეში, ინციდენტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული გამოძიება დაიწყო. გამოიკითხა რამდენიმე პოლიციელი და სხვა მოწმეები და ჩატარდა ლაბორატორიული ტესტები. გამოძიების შემდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა აღძრული იქნა შვიდი პოლიციელის წინააღმდეგ, რომლებიც საბოლოოდ გაამართლეს.

76. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოძიების მიმდინარეობისას არსებობდა შესამჩნევი ხარვეზები. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ მოახდინა ყველა იმ პოლიციელის იდენტიფიცირება, რომლებიც მონაწილეობდნენ მომჩივნის დევნაში. ამასთან დაკავშირებით, შეგახსენებთ, რომ პოლიციელებმა შემთხვევის ადგილი დატოვეს საკუთარი თავის იდენტიფიცირებისა და თავიანთი იარაღის გადაცემის გარეშე; შესაბამისად, ზოგიერთი გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი, არ ყოფილა ოფიციალურად მოხსენებული. აღნიშნული, ასევე აღიარა ეროვნულმა სასამართლომ. ასევე, როგორც ჩანს, ადგილობრივ ხელისუფლებას არ მოუთხოვია იმ პოლიციელების სია, რომლებიც იმყოფებოდნენ ადგილზე მორიგეობის დროს, როდესაც მოხდა ინციდენტი და რომ არ გაკეთებულა სხვაგვარი მცდელობა იმის გასარკვევად, თუ ვინ იყვნენ ეს პოლიციელები. უფრო მეტიც, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ სამი ტყვია იქნა მოპოვებული და გარდა ტყვიისა, რომელიც ამოიღეს მომჩივნის ფეხიდან და ის, რომელიც ჯერ კიდევ მის დუნდულაში იმყოფებოდა, პოლიციამ ვერ შეძლო ეპოვნა ან ამოეცნო სხვა ტყვიები, რომლებმაც დააზიანა მომჩივანი.

77. ზემოხსენებულმა უმოქმედობამ ხელი შეუშალა ეროვნულ სასამართლოს, დაედგინა ფაქტები სრულად, რაც სხვაგვარად შეიძლებოდა მომხდარიყო. შეგახსენებთ, რომ შვიდი პოლიციელი გაამართლეს პირველ ბრალდებაში (სხეულის სერიოზული დაზიანების მიყენება), იმ მოტივით, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა არ იყო ნაჩვენები, რომ სწორედ მათ დაჭრეს მომჩივანი, რადგან უამრავი სხვა გასროლა გაურკვეველი იარაღებიდან განხორციელდა. სასამართლო ვერ დაეთანხმება მთავრობის მტკიცებას, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას მეტის გაკეთება არ შეეძლო მომხდარის შესახებ მტკიცებულებების მოსაპოვებლად .

78. ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ ხელისუფლებამ არ ჩაატარა ინციდენტთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიება. გამოძიების არასრული და არაადეკვატური ხასიათი ხაზგასმულია იმით, რომ სასამართლოს წინაშეც კი, მთავრობამ ვერ შეძლო ყველა იმ ოფიცრის იდენტიფიცირება, რომლებიც მონაწილეობდნენ მომჩივნის მიმართულებით სროლასა და მის დაჭრაში.

79. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.

5. ხელისუფლების ორგანოების მიერ, კონვენციის მე-2 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების სავარაუდო შეუსრულებლობა

80. ზემოაღნიშნული დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ, განსაზღვროს არის თუ არა ამ საქმეში გამოვლენილი ხარვეზები ხელისუფლების მიერ მიღებული პრაქტიკის ნაწილი, როგორც ამას მომჩივანი ამტკიცებს.

II. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

81. მომჩივანი დავობდა, რომ კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, იგი დაექვემდებარა სერიოზული სახის სხეულის დაზიანებას. კონვენციის მე-3 მუხლი ადგენს:

„არავინ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას თუ დასჯას.“

82. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივანის დაზიანებები იყო შემთხვევითი და კანონიერი დაკავების სამწუხარო შედეგი.

83. იმ საფუძვლების გათვალისწინებით, რომლითაც მან დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის ორმაგი დარღვევა, სასამართლო მიიჩნევს, რომ მე-3 მუხლის საფუძველზე არ წარმოიქმნება ცალკე განსახილველი საკითხი.

III. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

84. მომჩივანი დავობდა, რომ მან ვერ ისარგებლა სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებით, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-13 მუხლით:
„ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

85. მთავრობას ამ ბრალდების მისამართით არ გაუკეთებია კომენტარი, გარდა იმისა, რომ ამტკიცებდა მომჩივნის ზიანის გამოსასწორებლად ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობას.

86. წინამდებარე საქმეში, მომჩივნის არგუმენტებისა და იმ საფუძვლების გათვალისწინებით, რომლითაც მან დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა მის პროცედურულ ასპექტთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ცალკე საკითხი არ წარმოიქმნება კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე.